ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

რეკომენდაციის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

პავლე აბაიაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

თეა ჭეიშვილი – კოლეგიის წევრი

ნათია კორკოტაძე – კოლეგიის წევრი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 31.07.2015

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 007/15

შეკითხვა:

ადვოკატმა ზეპირი ხელშეკრულება გააფორმა მოქალაქესთან იურიდიული მომსახურების გაწევის თაობაზე. საქმე ეხებოდა სამკვიდრო საქმეს. ქალბატონი ითხოვდა გარდაცვლილი მეუღლის მამის მემკვიდრეობის მიღებას, რომელიც მთლიანად ჰქონდა მიღებული მხოლოდ ერთ კანონისმიერ მემკვიდრეს (მაზლს).კლიენტის აზრით, საქმე ეხებოდა ე.წ. ტრანსმისიას. ადვოკატმა განუმარტა ქალბატონს, რომ ტრანსმისიით რძალი ვერ მიიღებდა მამამთილის მემკვიდრეობას და უკეთესი იყო მის შვილებს დაეწყოთ დავა. კლიენტმა ადვოკატს განუცხადა, რომ ამ გზით დავის გაგრძელება არ სურდათ, თუმცა ადვოკატმა რამდენჯერმე განუმარტა, რომ ეს არ იქნებოდა მომგებიანი პოზიცია. ადვოკატმა კლიენტის მითითებების შესაბამისად იმოქმედა და აუხსნა, რომ სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, მათ შეეძლოთ სხვა გზით მიეღოთ ქონება, შვილიშვილების მიერ ბაბუის ქონების ტრანსმისიით მიღების კუთხით. სასამართლოს სხდომაზე სასამართლოს მიერ გამოთხოვილი ინფორმაციით, ადვოკატისათვის ცნობილი გახდა ისეთი ფაქტებისა და დოკუმენტაციის არსებობის შესახებ, რაც მხარემ საქმის მომზადების პერიოდში არ გაამხილა, რამაც ადვოკატი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა მოსამართლის წინაშე. ინფორმაციის დამალვის მიზეზად კლიენტმა ადვოკატს განუცხადა, რომ ეს ინფორმაცია მათთვის სასარგებლო არ იყო და ამიტომ ჩათვალა, რომ ის ადვოკატისთვის დაემალა.

ადვოკატი და კლიენტი შეთანხმდნენ, რომ დაელოდებოდნენ გადაწყვეტილებას, გაეცნობოდნენ დასაბუთებას და მხოლოდ ამის შემდეგ, დაიწყებდნენ შვილიშვილის მიერ ბაბუის ქონების მიღების მცდელობას.

სასამართლო გადაწყვეტილება ჩაიბარა კლიენტმა, ისე რომ ამის შესახებ ადვოკატისთვის არ უცნობებია, რაზეც ადვოკატმა ჰკითხა მას, თუ რატომ არ შეატყობინეს აღნიშნული ინფორმაცია, რის შემდეგაც, კლიენტმა და მისმა ქალიშვილმა ადვოკატის მიმართ გამოხატეს აგრესია და განუცხადეს, რომ იმ ინფორმაციებისა და დოკუმენტების გარეშეც, რომლებიც დაუმალეს მას, თუ „მაგარი ადვოკატი“ იყო უნდა მოეგო პროცესი. კლიენტმა ადვოკატს მოსთხოვა საადვოკატო მომსახურების ჰონორარის დაბრუნება, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვოკატის წინააღმდეგ შეიტანდა საჩივარს ეთიკის კომისი. ადვოკატს კლიენტმა განუცხადა, რომ მისი საადვოკატო მომსახურებით უკმაყოფილო იყო და საჩივარში დაწერდა, რომ მას გადაუხადა დიდი ოდენობით თანხა, ადვოკატი უსვამდა ისეთ შეკითხვებს, რაც მისთვის შეურაცხმყოფელი იყო, არ უთმობდა მას სათანადო დროს. კლიენტი ამ აგრესიას იმით ხსნის, რომ ნახა სხვა ადვოკატი, რომელმაც უთხრა, რომ მისმა ადვოკატმა „სისულელე გააკეთა და და ყველაფრის ღირსია“. ადვოკატმა განუმარტა კლიენტს, რომ თუ არ მოსწონდა მისი მუშაობის სტილი, შეეძლო სხვა ადვოკატისათვის მიემართა.

მოცემულ შემთხვევაში, არის თუ არა ადვოკატის ქმედებაში რაიმე არაეთიკური და ასეთ სიტუაციაში როგორ მოიქცეს ის?

ანალიზი:

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის მიხედვით: „ეთიკის კომისია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უფლებამოსილია უარი თქვას რეგისტრირებული შეკითხვის განხილვაზე, თუ მოთხოვნილი რეკომენდაცია ეხება კომისიის დისციპლინურ სამართალწარმოებაში არსებულ საქმეს“.

განსახილველ შემთხვევაში, მოცემული შეკითხვის ეთიკის კომისიაში განხილვის მიმდინარეობის დროს, კომისიაში დარეგისტრირდა საჩივარი, რომელშიც აღნიშნული ფაქტობრივი გარემოებები შეკითხვის შინაარსის იდენტურია. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია უფლებამოსილია არ გასცეს რეკომენდაცია მოცემულ საკითხზე.

გადაწყვეტილება:

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე, სარპოცესო კოლეგიამ გადაწყვიტა, არ გასცეს მოთხოვნილი რეკომენდაცია, რადგან ის ეხება კომისიის დისციპლინურ სამართალწარმოებაში არსებულ საქმეს.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ რომელიმე დისციპლინური საქმის განხილვისას. თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: /პავლე აბაიაძე/

კოლეგიის წევრი: /თეა ჭეიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ნათია კორკოტაძე/